2023 წლის საგნის გამოცდის შეფასების სქემა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური)

1	გ
2	ბ
3	ა
4	დ
5	დ
6	ბ

7.

ა	ბ	გ	დ
2	2	3	1

* 1 ქულით ფასდება მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც ყველა აღნიშვნა სწორია.

8	**მაქსიმალური ქულა: 1**
	1 ქულა: აპლიკანტის დაწერილ წინადადებაში ერთდროულად მოცემულია **დროის, ადგილის, მიზნისა და ვითარების გარემოებები.** წინადადება აზრობრივად გამართულია. **0 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • მოყვანილ წინადადებაში არ არის წარმოდგენილი ყველა დასახელებული გარემოება; • მოყვანილ წინადადებაში ფორმალურად წარმოდგენილია ყველა დასახელებული გარემოება, თუმცა სიტყვათა ჯგუფი არ გამოხატავს დასრულებულ აზრს ან შინაარსის თვალსაზრისით გაუმართავია; • პასუხი არ არის წარმოდგენილი.
9	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: სწორად არის ამოცნობილი შეცდომა - სიტყვასთან **მოინახულა** წაშლილია/არ ფიქსირდება სასვენი ნიშანი ორწერტილი. აპლიკანტი მსჯელობისას განმარტავს გამაერთიანებელ/განმაზოგადებელ სიტყვასთან ორწერტილის გამოყენების წესს. წინადადების გადაწერის შემთხვევაში არ ეხება/არ ასწორებს წინადადების შინაარსობრივ ნაწილს. **1 ქულა:** • აპლიკანტი სწორად ამოიცნობს შეცდომას, თუმცა ვერ განმარტავს / არასწორად განმარტავს ორწერტილის გამოყენების წესს; **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა ამოცნობილი შეცდომა; • პასუხი არ არის მოცემული.

<table>
<tr><td>10</td><td colspan="2">მაქსიმალური ქულა: 8</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">დავალებაში დაშვებული იყო 5 შეცდომა, რომელთა ამოცნობისა და დასაბუთების ნებისმიერი კომბინაციის შედეგად აპლიკანტს უნდა დაეგროვებინა დავალების მაქსიმალური ქულა 8.</td></tr>
<tr><td rowspan="7"></td><td>შეცდომა</td><td>უნდა იყოს</td></tr>
<tr><td>ამდენ საქმეებს</td><td>ამდენ საქმეს</td></tr>
<tr><td>დაკარგვიათ</td><td>დაჰკარგვიათ</td></tr>
<tr><td>განსხვავებულები იყვნენ</td><td>განსხვავებული / განსხვავებულნი იყვნენ</td></tr>
<tr><td>გვრიდა</td><td>გვგვრიდა</td></tr>
<tr><td>ყველას, რომლებიც</td><td>ყველას, ვინც</td></tr>
<tr><td colspan="2">შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით;
მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით;
სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.</td></tr>
</table>

11	ბ
12	ა
13	დ
14	ბ
15.1	დ
15.2	გ
15.3	ბ
15.4	გ
15.5	დ
15.6	დ
15.7	ბ

15.8	**მაქსიმალური ქულა: 1**
	1 ქულა: აპლიკანტს სწორად აქვს ამოწერილი შესაბამისი ფრაზებიდან ერთ-ერთი: • „მელას სიტყვებმა სხვებსაც გაახსენა <u>ძველი ტკივილი“.</u> • „ქათქათა თოვლზე სისხლის დანახვამ ყველას დაავიწყა <u>ჩვეული შიში.“</u> **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორად არის ამოწერილი ფრაზა; • სწორ პასუხთან ერთად მითითებულია არასწორი პასუხიც; • პასუხი არ არის მოცემული.

15.9	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა. იდენტიფიცირებული და ახსნილია ორი არსებითი ასპექტი: ▪ ძაღლის მიერ საკუთარი თავის, ბუნების დაკარგვა; ▪ ძაღლის მიერ სამყაროს აღქმა ადამიანის პოზიციიდან. **1 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • სწორად არის ამოცნობილი ტყის ბინადართა პოზიცია, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; აპლიკანტი შემოიფარგლება 3-4 სიტყვით; • სწორად არის ამოცნობილი და ახსნილი ორი არსებითი ასპექტიდან მხოლოდ ერთი. **0 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა გაანალიზებული ტყის ბინადართა პოზიცია / მსჯელობა მცდარია; • ტყის ბინადართა პოზიციის იდენტიფიცირებისას იყენებს მხოლოდ ზოგად ფრაზებს - „იმიტომ, რომ ცხოველებს ღალატობს.“ „ადამიანს ემორჩილება“ და ა.შ. • პასუხი არ არის მოცემული.
15.10	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებული და ახსნილია, რატომ იზიარებენ ტყის ბინადარი ცხოველები ძაღლის დამოკიდებულებას ადამიანისადმი. პასუხში ყურადღება მახვილდება ადამიანის შესაძლებლობებზე. **1 ქულა:** სწორად არის ამოცნობილი ტყის ბინადართა პოზიცია, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; აპლიკანტი შემოიფარგლება 3-4 სიტყვით. **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • პასუხი არამართებულადაა გაანალიზებული; • პასუხი არ არის მოცემული.
16.1	**მაქსიმალური ქულა: 1**
	1 ქულა: მოცემულია გამართული, დასაბუთებული მსჯელობა; სწორად არის ახსნილი ავტორის ჩანაფიქრი, ფრაზის ქვეტექსტი. აპლიკანტი მსჯელობისას მიუთითებს **სიხარბესა და მომხვეჭელობაზე.** **0 ქულა:** • პასუხი არამართებულია; • პასუხში მხოლოდ 1-2 სიტყვაა წარმოდგენილი – „ბოროტება გამეფდა“, „სიმართლე გაქრა“, „ადამიანები ერთმანეთს ჭამენ“ და მისთანანი; • პასუხში წარმოდგენილია ფრაზის „მგლის მადა“ შეუსაბამო, არაკონტექსტური

	განმარტებები - „გამეფდა ბოროტება“, „ბატონობს კრიმინალი“ და მისთანანი; • პასუხში ძირითადად წარმოდგენილია შეკითხვის პერიფრაზი; • პასუხი არ არის მოცემული.
16.2	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; აპლიკანტი სწორად აანალიზებს შედარების საფუძველს (რით ჰგავს ლექსში აღწერილი სამყარო ცხედარს); სწორად ხსნის სამყაროს ,,სიკვდილის“ მიზეზს – რაციონალური(აზრი) და ემოციური(გრძნობა) საყრდენების გარეშე დარჩენა. **1 ქულა**: აპლიკანტს იდენტიფიცირებული აქვს შედარების საფუძველი, თუმცა პასუხი ზედაპირული და სქემატურია; აპლიკანტი შემოიფარგლება 3-4 სიტყვით. **0 ქულა**: **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • არასწორადაა გაგებული შედარების საფუძველი, მსჯელობა მცდარია; • პასუხში წარმოდგენილია მხოლოდ პერიფრაზი; • პასუხში წარმოდგენილია ზოგადი ფრაზები: „სიმართლე გაქრა“, „ბოროტება გამეფდა“ და ა.შ. • პასუხი არ არის მოცემული.
16.3	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; აპლიკანტი განმარტავს დავალების პირობის ორივე კომპონენტს: ▪ **განაზოგადებს პრობლემას** – დეგრადირებული, უსამართლო, მტრული ქვეყანა... განუკითხაობა და შუღლი ძმათა შორის... ჰუმანიზმის, თანაგანცდის დეფიციტი... ▪ **ხსნის განმაპირობებელ მიზეზს** – აზრისა და გრძნობისგან (ადამიანობისგან) დაცლა, გრძნობისა და აზრის დეფიციტი ადამიანის დეჰუმანიზაციას, ცხოველურ საწყისებთან დაბრუნებას იწვევს... **1 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • იდენტიფიცირებულია როგორც პრობლემა, ისე განმაპირობებელი მიზეზი, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; აპლიკანტი შემოიფარგლება 3-4 სიტყვით; • მოცემულია დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა დავალების მხოლოდ ერთი კომპონენტის (პრობლემა **ან** მიზეზი) მიხედვით. **0 ქულა:** **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:** • პასუხი არამართებულია; • პასუხი არ არის მოცემული.

წაკითხული ტექსტის გააზრება

17	გ
18	დ
19	გ
20	გ
21	დ

ანალიტიკური წერა

22.

მაქსიმალური ქულა: 9
I. შინაარსის რელევანტურობა*   *ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს და უპასუხებს დასმულ ამოცანებს.*   **1 ქულა:**   **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:**   • ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს.   • ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაციაც.   **0 ქულა:**   **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:**   • ნაშრომი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს;   • ნაშრომი შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს;   • ნაშრომი წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.   • ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხება მოცემულ თემას, მაგრამ არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.   ***თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.***   **II. დასაბუთება ***   *ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.*   **2 ქულა:**   • მოცემულია <u>*დავალების ყველა მოთხოვნის*</u> შესახებ თანმიმდევრული, დამაჯერებელი მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია ყველა მოსაზრება;   **1 ქულა:**   **შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:**   • მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება;   • მოცემულია დავალების მოთხოვნების შესახებ მსჯელობის მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და

არადამაჯერებელია;

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნის შესახებ მსჯელობის მცდელობა, არ ფიქსირდება არგუმენტები და მაგალითები;
- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული. მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით ან მაგალითები თუ არგუმენტები არაადეკვატურია;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

** მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.*

III. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები ლოგიკურად არის გამოყოფილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მკაფიოდ არის წარმოდგენილი ტექსტის მხოლოდ ორი სტრუქტურული ნაწილი;
- ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ლოგიკურად არ უკავშირდება დავალების პირობას;
- ერთი-ორი პასაჟი თხზულების სტრუქტურიდან ამოვარდნილია;
- წარმოდგენილი დასკვნა მკაფიოდ / პირდაპირ არ მიემართება დავალების პირობაში დასმულ საკითხს / არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- უფუნქციოდ, დატვირთვის გარეშე მეორდება ერთი და იგივე აზრი;
- ნაშრომში აბზაცები არ არის გამოყოფილი ან არაადეკვატურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის უმეტესი ნაწილი ერთმანეთსა და დავალების პირობას ლოგიკურად არ უკავშირდება;
- სტრუქტურიდან ამოვარდნილია რამდენიმე პასაჟი;
- ნაწერში წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ერთი სტრუქტურული ნაწილი.

IV. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული,

გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი; გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს;
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია **ერთი-ორი** ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური / პუნქტუაციური შეცდომა, **არ არის** დაშვებული სინტაქსური შეცდომა.

1 ქულა:

- **დაშვებულია არაუმეტეს ხუთი** სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომისა;

0 ქულა:

- **დაშვებულია ექვსი და მეტი** სინტაქსური / ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური / პუნქტუაციური შეცდომა; დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.

ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, შეფასდება 0 ქულით;
- თუ დავალებებზე პასუხის გაცემისას დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, აპლიკანტს დავალების შეფასებისას დააკლდება 1 ქულა.